საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/1-2007 „8" ივნისი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 იანვრის №78 ბრძანებულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 27 დეკემბრის №1/119-2006 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2007 წლის 1 იანვრიდან, –

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით ღიბრაძეს თბილისში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 300 ლარი.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მურთაზ მეშველიანს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ირმა პერანიძეს და გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლოში მივლინებულ ოჩამჩირის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირინა ზარქუას, რომელთაც ქუთაისში არ აქვთ საცხოვრებელი ბინა საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 200 ლარი.

3. თელავის რაიონული სასამართლოში მივლინებულ ასპინძის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნუნუ ნემსიწვერიძეს თელავში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 150 ლარი.

4. ბორჯომის რაიონული სასამართლოს მოსამართლე როლანდ ვარაზაშვილს, მესტიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნუგზარ ბურდულს, ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მანანა ნიკაჭაძეს, ჭიათურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მალხაზ ჩუბინიძეს, გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ლუაშვილს და საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ცისანა სირბილაძეს, რომელთაც შესაბამის ქალაქში ან რაიონში არ აქვთ საცხოვრებელი ბინა საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 100 ლარი.

5. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის ქირის გაცემა.

6. გადაწყვეტილებაში მითითებულმა მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი